საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

სამშაბათი, 19 ოქტომბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია [illegible] ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 71 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 71

ოთხშაბათს, 20 ოქტომბერს თფილისში გამოვა ყოველ დღიური გაზეთი რუსულ ენაზე: „საქართველოს კომუნისტი".

## ვინ არის გამარჯვებული?

დიდი ხანია, რაც მთელი მსოფლიოს ცენტრში საბჭოთა რუსეთი დგას. გაქრა გერმანიის ძლევამოსილება, რომელიც ერთ დროს თავისკენ იჯაჭვავდა კაცობრიობის ყურადღებას. მისი ადგილი ვერ დაიჭირა გამარჯვებულმა ანტანტამ, რომელსაც შინაგანმა წინააღმდეგობებმა დაუკარგა უნარი ერთიანი, შეთანხმებული მოქმედებისა. ნაციათა ლიგა, რომელსაც უნდა ეწარმოებია საქმე მსოფლიოს მასშტაბით, ვერ გასცილდა თავის ფორმალურ, წმინდა კანცელიარულ არსებობას. ყელთამდე ოქროში ჩაფლულ ამერიკას გაუცრუვდა იმედი მსოფლიოს მესვეურობისა, რომელსაც ის ერთ დროს ეპოტინებოდა და თავის შიგნით განცხრომით ცხოვრება არჩია გარეთ საბედისწერო თამაშს. რუსეთი, საბჭოთა რუსეთი, რომლის განადგურება ვერ შესძლო მთელი ქვეყნის მოზღვავებულმა შავ ბნელმა ძალამ,—აი ის ღერძი, რომელიც თავისკენ იზიდავს მთელ კაცობრიობას და აიძულებს მას ადრე თუ გვიან წავიდეს ახალი გზით და დაამყაროს ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა.

უკანასკნელი ცდა პოლონეთის შემწეობით რუსეთის განადგურებისა, კრახით დამთავრდა და პროლეტარიატის მტრები მიხვდენ, რომ ამ ჟამათ მაინც ტყუილი იმედია რუსეთის დამორჩილება-დამონებისა. რუსეთ-პოლონეთის ზავი სწორედ ამ მხრით არის საყურადღებო.

საფრანგეთის ოქროთი და თოფ ზარბაზნებით ზურგ-გამაგრებული პოლონელი თეთრ-გვარდიელები იმარჯვებენ სამი წლის განუწყვეტელი ომებით მოლლიომოქანცულ წითელ ჯარზე და თითქოს აქ უნდა ისხამდეს ფრთას მათი სანუკვარი ოცნება, გაანადგურონ რევოლიუციის კერა და წაშალონ პროლეტარული რევოლიუციის სახსენებელი. ხომ ეს აზრი ამოძრავებდათ როგორც პილსუდსკის, ისე მილიერანს, როდესაც ისინი იმდენი მზადების შემდეგ ილაშქრებდენ მოსკოვის წინააღმდეგ. და აი, როდესაც წითელი ჯარი უკან იხევს, გამარჯვებით დამთვრალ გაბრუებულ პოლონეთ-საფრანგეთის ბურჟუაზიას სიფხიზლე ესტუმრა და ძველი გაკვეთილით ჭკუა-ნასწავლი ცდილობს არ გადადგას საბედისწერო ნაბიჯი და საფრთხეში არ ჩააგდოს თავისი გადარჩენილი მდგომარეობა. ის თანხმდება ზავზე იმ რუსეთთან, რომლის დაპყრობა და განადგურება იყო ერთათ ერთი მიზანი მისი ავაზაკური თავდასხმისა. ეტყობა, უნაყოფოთ არ ჩაუვლია წარსულ გაკვეთილებს და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მხეცურ გაბოროტებას თან ერთათ საპატიო ადგილი დაუკავებია სიფრთხილეს და გონიერებას.

საბჭოთა რუსეთს უნდა თავი დაანებონ, მეტი გზა არ არის. საბჭოთა რუსეთმა უნდა იარსებოს და განაგრძოს მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის მესვეურობა, როგორც წინათ. ამას თანხმდება მსოფლიო კონტრ-რევოლიუცია სწორეთ მაშინ, როდესაც ომის ბედი მის სასარგებლოთ ხრიდა სასწორს. ის მიხვდა, რომ რაც უნდა ბრწყინვალე იყოს მიღწეული გამარჯვება საბჭოთა რუსეთზე, ის მაინც წუთიერი იქნება და არ აცდება სულ მოკლე ხანში თავის ზურგზე გამოსცადოს ერთი-ორათ უარესი დამარცხება. სწორეთ ამის შიში აგონიერებს და აზომიერებს პოლონეთ-საფრანგეთის თეთრგვარდიელებს და ალებინებს მათ ხელს საბჭოთა რუსეთის შემუსვრაზე. პოლონეთი უნდა ჩადგეს თავის კალაპოტში. საფრანგეთი უნდა დაეტიოს თავის ტყავში. მათ არ ძალუძთ დააბნელონ რუსეთის მზე, რომელიც მესამე წელიწადია უნათებს მთელი ქვეყნის მშრომელთ.

## ეკონომიური თათბირები.

არ გაუვლია სულ რამდენიმე დღეს მას შემდეგ, რაც საქართველოს მესვეურნი ევროპიელ სტუმრებს ციფრებით უმტკიცებდენ საქართველოს სამოთხეობას, და ისინი უკვე იძულებული შეიქნენ აეხადათ ფარდა ჩვენი ცხოვრების პროზისთვის და აშკარათ ეთქვათ, რომ ამ მოჩვენებულ სამოთხეს ჩამდვილი ჯოჯოხეთიდან ალარავითარი მანძილი არ აშორებს. თავის ქების ლამაზ სიტყვათა კორიანტელი განქარდა, ვითარცა მტვერი და მისი ადგილი დაიჭირა უზომო შიშმა და ძრწოლამ მოახლოვებულ საზარელი სურათის წინაშე. დავიწყებიათ, რომ მათი დაპირების თანახმათ, სწორეთ ახლა უნდა დამდგარიყო საუკეთესო მდგომარეობა, საერთო შვება და ლხენა უნდა შექმნილიყო საქართველოს მკვიდრთათვის, რომელთაც ადრევე უნდა გაელმერთებიათ ჩვენი ქვეყნის გამაბედნიერებელი უბადლო ბრძენთა ბრძენი პოლიტიკოსები. გაცემულ თამასუქების განაღდების ნაცვლათ ისინი კუდმოკაუჭებული მიმართავენ თავის მრევლს და მასთან ერთათ აქამდე „პოლიტიკურათ" მოთათბირენი ახლა „ეკონომიურათ" თათბირობენ, როგორ იხსნან თავი უდიდესი განსაცდელიდან.

განსაცდელი კი დიდია. „დღეს თითეული ჩვენგანი გრძნობს, თითეული მწვავეთ განიცდის იმ სინამდვილეს, რომ ჩვენ არა თუ მივდივართ კატასტროფისაკენ,—ჩვენ უკვე მივედით იქამდე". ამას აცხადებს თვით მთავრობის თავმჯდომარე და თავისი პარტიის თანადასწრებით ეძებს და იკვლევს გამოსავალ გზებს. მის წინ სდგება დილემა: „ან უნდა გადავიჩეხოთ უფსკრულში, ე. ი. ჩვენ უნდა გავადიდოთ ხელფასი, მოვსჭრათ ახალი ბონები; ამით საქონელი ბაზარზე კიდევ უფრო გაძვირდება, ცხოვრება აირევ-დაირევა და შესაძლებელია, ყველაფერი ეს დათავდეს სრული სახელმწიფოებრივი კრახით, ან უნდა შევსძლოთ ძველი მდგომარეობის აღდგენა, უკან დაბრუნება და მით დაძლეული გვექნება კატასტროფა". („ერთობა" № 235).

ან უფსკრული, ე. ი. დალუპვა, ან ძველი ცხოვრების აღდგენა, ე. ი. უკან დაბრუნება; წინ წასასვლელი გზა კი არ არსებობს. ასე აყენებს საკითხს საქართველოს ცხოვრების მესაჭე, ცხადათ მოვლენილ კატასტროფის მაყურებელი. კომუნისტურმა პარტიამ რამდენიმე წლით ადრე განსჭვრიტა შექმნილი მდგომარეობა და მანაც დააყენა დილემა, რომელიც ძირიანათ განსხვავდება ნ. ჟორდანიას დილემისაგან: ან დალუპვა, ან სოციალიზმი, ძველის აღდგენა კი შეუძლებელიაო.

ნ. ჟორდანიასთვის სოციალიზმის საკითხი არ არსებობს. მან იცის ორნაირი მდგომარეობა: ერთია ომის წინ, მეორეა ომის შემდეგ. მისი აზრით, ან უნდა აღსდგეს პირველი, ან ქვეყანა დაილუპოს. სხვა გზა არ არის.

„რაში გამოიხატება კრიზისი?"—კითხულობს ის და თვითვე იძლევა პასუხს: „ეს იხატება საქონლის, პირველ სახმარ საგნების საზღაპრო სიძვირეში. საქონლის გაძვირება იწვევს ხელფასის გადიდებას, რომ მუშა-მოსამსახურეებს შეძლება მიეცეთ იყიდონ საჭირო საგნები. ჩვენ ვუმატებთ ხელფასს, მაგრამ გამოდის, რომ ამას არავითარი რეალური სარგებლობა არ მოაქვს მუშა მოსამსახურეებისათვის. ხელფასის გადიდება ვერ უსწრებს ფასების ზრდას ბაზარზე და მდგომარეობაც კიდევ უფრო უარესდება. ასეთია დღევანდელი მდგომარეობა".

ეს მდგომარეობა უფსკრულში გვჩეხავს, დაღუპვას გვიმზადებს. კითხვა იბადება: როგორი მდგომარეობა იყო ომის წინ, რომლის დაბრუნება დაგვაძლევინებს კატასტროფას? აი როგორ ახასიათებს მას ნ. ჟორდანია:

„ომის წინ სულ სხვაგვარი მდგომარეობა იყო. საქონელი იაფი იყო, არსებობდა ერთგვარი უცვლელი ფასები. ერთნაირი იყო ჯამაგირებიც. ომის წინ იყო დამაგრებული ფინანსიური მდგომარეობა".

და აი ეს მდგომარეობა უნდა აღდგეს, რომ კატასტროფა აცილებული იქნეს. ნ. ჟორდანიას მთელი ზრუნვაც აქეთ არის მიმართული.

მსგავსი გადაწყვეტილება განა არ გაგონებთ ფრიად გავრცელებულ მეშჩანურ მწარ-მოგონებას წარსულზე, როდესაც (ნიკოლოზის დროს) თეთრი პური თავსაყრელათ იყო და საერთო მდგომარეობაც უფრო მტკიცე და უზრუნველყოფილი! განსხვავება იმაშია, რომ მეშჩანების მაშინდელ მდგომარეობის სიკეთეს ნიკოლოზის ბატონობას უკავშირებენ და მისი დაბრუნება შესაძლებლათ მიაჩნიათ (ნიკოლოზის დაბრუნებით); ნ. ჟორდანია კი, როგორც ეკონომისტი უფრო ღრმათ იხედება და მიზეზს ეძებს მაშინდელ წარმოებაში, რომლის დაბრუნება ან აღდგენა გამოასწორებს მთელ საქმეს. მან იცის, რომ საქონლის სიძვირის მიზეზი, აქედან შექმნილი ფინანსიური დაუდგრომელობა თვით საქონლის წარმოებაშია დამარხული და იკვლევს ომის წინ არსებულ წარმოების კანონებს, რომ მით იხელმძღვანელოს წამოყენებულ საკითხის გადაწყვეტაში.

ვანახოთ, როგორ ესმის მას ომის წინ არსებული წარმოების ვითარება, რომლის დაბრუნებას ის ასე შენატრის: „საქონლის წარმოება თავის საკუთარ კანონებს ემორჩილება. რომ საქონელი გაიყიდოს, საჭიროა გზები, საიდანაც საქონელი გაიტანება, ბაზარი, სადაც შესაძლებელი იქნება საქონლის განაღდება. საქონელს სცვლიან ფულზე იმ მიზნით, რათა ამ ფულით ისევ საქონელი იყიდონ, ამ რიგათ საქონელი იცვლება ისევ საქონელზე".

ჩინებული დახასიათებაა ომის წინ არსებულ და გამეფებულ წარმოების კაპიტალისტური სისტემისა, რომელმაც უმრავლეს განათლებულ ქვეყნებში უკვე მიაღწია მონოპოლისტურ სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის ფორმას! საქონელს იმ მიზნით სცვლიან ფულზე, რომ სხვა საქონელი შეიძინონ,—ეს უბრალო საქონლის წარმოების ფორმულაა და გამოხატავს იმ მდგომარეობას, როდესაც ახლათ ფეხ ადგმულ საქონლის მეურნეობაში დამოუკიდებელი მწარმოებელნი გაცვლის საშუალებით მოდიან ერთმანეთთან ურთიერთობაში და ააშკარავებენ წარმოების საზოგადოებრივ ხასიათს. აქ თავის დამზადებულ საქონელს იმ მიზნით სცვლიან ფულზე, რომ მით შეიძინონ თავისთვის საჭირო ყველა საგნები და დაიკმაყოფილონ თავისი მოთხოვნილებანი. სხვანაირათაა საქმე კაპიტალისტურ საქონლის წარმოებაში. აქ მწარმოებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება კი არ განსაზღვრავს წარმოების მიზანს, არამედ მოგების გამოწურვა და ფულს იმ მიზნით ატრიალებენ საქმეში, რომ ზედმეტი ფული შეიძინონ. ეს ახასიათებს კაპიტალისტურ მეურნეობას, აქედან წარმოსდგება ყველა მისი ნიშანდობლივი თვისებები.

მაგრამ რას დაგიდევს ამ საერთო კანონს წვრილი მწარმოებელი, წვრილი ბურჟუა, რაკი იგი კვლავ განაგრძობს თავის ულიმღამო არსებობას უკვე გამეფებულ კაპიტალისტურ მეურნეობის გვერდით. ის არ სცილდება თავის ილიუზიებს და თავისი ადლით ზომავს მთელ ცხოვრებას. ის საქონელს იმისთვის აწარმოებს, რომ საქონელზე გადასცვალოს და ჰგონია, რომ ასეა საქმე მთელ მეურნეობაშიაც. თუ ამ ილიუზიას ადგილი აქვს კაპიტალიზმის ძლევამოსილობის დროს, როდესაც ისპობა წვრილი მესაკუთრის არსებობა, მით უფრო მეტი გასავალი ეძლევა მას კაპიტალიზმის კრახის დროს, რომელსაც ამ ჟამად განიცდის მთელი ქვეყანა.

ასეთია ის თეორეტიული საფუძვლები, რომელზედაც დგას ნ. ჟორდანია და სრულიად ბუნებრივია, როდესაც ის, კატასტროფის მაყურებელი, არ კარგავს იმედს ამ კატასტროფის თავიდან აცდენისას. რა ვუყოთ, რომ კაპიტალიზმი კრახს განიცდის, საქონლის წარმოება საქონელზე გაცვლის მიზნით მუდამ არსებობდა, არსებობს ახლაც, რატომ არ შეიძლება, რომ მან მუდამ იარსებოს. ამ თვალსაზრისით უდგება ის თანამედროვე სინამდვილის ანალიზს და გამოყავს შესაფერი დასკვნები.

გადამთიელი.

(დასასრული იქნება)

## კაპიტალისტური ქვეყნიერება და კომუნისტური ინტერნაციონალი

(მანიფესტი კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის)

(გაგრძელება იხ. № 70)

არსებული წესწყობილება მთელი თავისი სიშიშვლით დგას მასსების წინაშე, როგორც მდიდრების ბატონობის გამოხატულება. ამერიკაში, საფრანგეთში, ინგლისში ომის შემდეგ ფუფუნება-განცხრომამ პირდაპირ გიჟური ხასიათი მიიღო. საერთაშორისო პატრიოტ—მუქთახორებით ყელამდის ავსილი პარიჟი, გაზ. „Le Temps"-ის აღიარებით ემზგავსება ბაბილონს მისი დაქცევის წინა დღეებში.

ასეთ ბურჟუაზიის სურვილ—მიდრეკილებას ეგუება პოლიტიკა, სასამართლოები, პრესა, ხელოვნება და ეკლესია. შორს გადასროლილია ყოველნაირი შემაკავებელი მოსაზრებანი. ვილსონი, კლემანსო, მილიერანი, ლოიდ-ჯორჯი, ჩერჩილი არ იხევენ უკან გაუგონარ თავხედურ დატყუილების და ტლანქი სიცრუის წინ, და უნამუსობაში ჩაწერილნი არხეინად განაგრძობენ ახალ-ახალ ყაჩაღურ გმირულ საქმეებს. პოლიტიკური ცბიერების კლასიკური წეს—ხერხი, რომელიც გამოიმუშავა მოხუც მაკიაველიმ, უმანკო აფორიზმებია გულუბრყვილო პროვინციელისა იმ ნორმებთან შედარებით, რომლებითაც სარგებლობენ აწინდელი ბურჟუაზიული მმართველები სასამართლო, რომელიც წინეთ დემოკრატიის თვალ მომატყუებელ სამოსელში გახვეეით მალავდა თავის ბურჟუაზიულ არსებას, ახლა აშკარათ იქცა ორგანოთ კლასობრივ ძალადობა-შევიწროებისა და კონტრ-რევოლიუციონურ პროვოკაციის. მესამე რესპუბლიკის მსაჯულები არხეინად ამართლებენ ჟორესის მკვლელს. სამსაჯულოები გერმანიისა, რომელიც გამოცხადებული იყო სოციალისტურ რესპუბლიკად, აქეზებენ ლიბკნეხტის, როზა ლიუქსემბურგის და მთელი რიგ პროლეტარიატის საქმისთვის ნაწამებთა მკვლელებს. ბურჟუაზიული დემოკრატიების ტრიბუნალები გადაიქცენ ისეთ ორგანოებათ, რომლებიც ზეიმით აკანონებენ თეთრი ტერორის ყოველგვარ დანაშაულობას.

ბურჟუაზიული პრესა აშკარათ ატარებს თავის შუბლზე მოსყიდვის დაღს, ვით საფაბრიკო ნიშანს. მსოფლიო ბურჟუაზიის ხელმძღვანელი გაზეთები წარმოადგენენ საარაკო ქარხნებს სიცრუის, ცილისწამების და სულიერი მოშხამვის.

ბურჟუაზიის სულისკვეთებანი ისეთსავე ნერვიულ ნახტომებს აკეთებს, როგორც მისი ბაზრის ფასები. ომის გათავების შემდეგ ახლობელ თვეებში საერთაშორისო ბურჟუაზია, განსაკუთრებით საფრანგეთის ბურჟუაზია, ცახცახებდა მოახლოვებულ კომუნიზმის შიშით. პირდაპირი საფრთხის სიდიდეს ის ზომავდა იმ სისხლის მღვრეველ ყაჩაღობის სიდიდით, რასაც ის სჩადიოდა მაგრამ მან გაუძლო პირველ თავდასხმას. მასთან საერთო პასუხისმგებლობით გადაჯაჭულმა სოციალისტურ პარტიებმა და პროფესიონალურ კავშირებმა მეორე ინტერნაციონალისა უკანასკნელი სამსახური გაუწიეს მას მით, რომ თავის თავზე მიიღეს პირველი რისხვა მშრომელთა შეწოტევისა. მეორე ინტერნაციონალის სრული დამსხვრევის საფასურით ბურჟუაზიამ დაღუპვის ვადა გადაგრძელა.

კლემანსოს მიერ მოჯახრაკებული კონტრევოლიუციონური საპარლამენტო არჩევნები, რამდენიმე თვის დარღვეული წონასწორობა და მასის გაფიცვის დამარცხება საკმარისი შეიქნენ, რათა საფრანგეთის ბურჟუაზია ავსილიყო თავისი რეჟიმის შეურყევლობის რწმენით. მისი კლასობრივი მედიდურობა იმ დონემდე ავიდა, რა დონეზედაც იყო წინათ მისი შიში.

ბურჟუაზიის ერთად ერთ არგუმენტად დამუქრება შეიქნა. მას არ სწამს ფრაზები, ის მოითხოვს მოქმედებას: დატუსაღებას, გარეკას, კონფისკაციას, დახვრეტას. ბურჟუაზიული მინისტრები და პარლამენტარები ისწრაფიან დაიმსახურონ ბურჟუაზიის პატივისცემა მით, რომ ცდილობენ ფოლადისებური სიმტკიცის ხალხის როლი ითამაშონ. ლლოიდ-ჯორჯი გულქვად ურჩევს გერმანიის მინისტრებს დახვრიტონ საკუთარი კომუნისტები მზგავსად საფრანგეთისა 71 წელში. ვიგინდარა მესამე ხარისხოვან მოხელეს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ პარლამენტის მქუხარე ტაშისცემას დაიმსახურებს, თუ კი თავის მჭლე მოხსენება-ანგარიშს დაათავებს მუშების მიმართ მუქარით.

იმ დროს, როცა ოფიციალური სახელმწიფო მანქანა სულ უფრო და უფრო აშკარათ იქცევა მშრომელთა სისხლში ჩახრჩობის ორგანიზაციად, მის გვერდით და მის განკარგულებაში დგება და მოქმედობენ სხვა და სხვა კერძო კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციები—გაფიცვების ძალდატანებით ჩასახშობათ, პროვოკაციულ გამოსვლებისთვის, ყალბი პროცესების შესაქმნელად, რევოლიუციონური ორგანიზაციების დასანგრევად და კომუნისტურ დაწესებულებათა ხელში ჩასაგდებად, პაგრომების და ცეცხლის წაკიდების მოსახდენათ, რევოლიუციის ბელადების მო-

საკვლელად და სხვა მრავალ ამგვარივე ზომების მისაღებად, რისი დანიშნულება კერძო საკუთრების და დემოკრატიის დაცვა.

მემამულეთა და მსხვილი ბურჟუაზიის შვილები, ცხოვრების კალაპოტიდან ამოგდებული წვრილი ბურჟუები და საზოგადოთ კლასობრივ ნიადაგს გამოცილებული ელემენტები—და მათ შორის პირველ რიგში საბჭოთა რუსეთიდან გაქცეული ემიგრანტები ბურჟუაზიულ-პომეშჩიკურ წრეებიდან—წარმოადგენენ დაუშრეტელ წყაროს კონტრ-რევოლიუციის არარეგულიარულ რაზმებისათვის. მათ მოთავეობს აფიცრობა, რომელსაც გავლილი აქვს შკოლა იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის.

ოციოდე ათასი პროფესიონალური აფიცრობა გოგენცოლერნის კარისა წარმოადგენს—განსაკუთრებით კაპპ-ლიუტვიცის ამბოხების შემდეგ, — მაგრამ კონტრ-რევოლიუციონურ ჯგუფს, რომლის დაშლა არ შეუძლია გერმანიის დემოკრატიას, რომლის გასრესა შეუძლია მხოლოდ პროლეტარული დიქტატურის უროს. ამ ცენტრალურად მოწყობილ ორგანიზაციას ძველი რეჟიმის ტერორისტებისას ემატება თეთრი პარტიზანული რაზმები იუნკრების ადგილ-მამულებში.

შეერთებულ შტატებში ასეთი კავშირები, როგორც „საფრთხის ასაცილებელი ნაციონალური ლიგა“, ან „თავისუფლების რაინდები“ წარმოადგენენ კაპიტალის შემტევ რაზმებს, რომელთა უკიდურეს ფრთაზე მოქმედებენ წმინდა წყლის ავაზაკების შაიკები კერძო საჯაშუშო სააგენტოების სახით.

საფრანგეთში „სამოქალაქო“ ლიგა წარმოადგენს მაღლიდან მოვლენილ ორგანიზაციას შტრეიკბეხერთა, მაშინ როდესაც რეფორმისტული „შრომის კონფედერაცია“ კანონს გარეშეა გამოცხადებული.

თეთრ გვარდიაში აფიცერთა მაფფიამ (ფარული საჯალათო ორგანიზაცია), რომელიც მოქმედობს ინგლისის მიერ ზურგგამაგრებულ კონტრ-რევოლიუციონურ და ჯალათურ მთავრობის გვერდით, დაანახვა მსოფლიო პროლეტარიატს, თუ რისი მომასწავებელია ის ცივილიზაცია და ის ჰუმანიური პრინციპები, რომლებსაც ვილსონი და ლოიდ-ჯორჯი უპირდაპირებენ საბჭოთა ძალა-უფლებას და რევოლიუციონურ ძალდატანებას.

„დემოკრატიული“ მთავრობები ფინლიანდიის და საქართველოსი, ლატვიის და ესტონიის მიმართავენ ყოველგვარ ღონისძიებას, რათა ტოლი გახდენ სამაგალითო, მისაბაძ ვენგრიის.

ბარსელონაში მოქმედობს პოლიციის ხელმძღვანელობით ფარული შაიკა მკვლელობის მომწყობთა. და ასეა ყველგან.

ივით დამარცხებულ და განადგურებულ ბოლგარიაში უსაქმოთ დარჩენილი აფიცრობა ერთდება ფარულ კავშირებში, რომლებიც ემზადებიან პირველ ბოხერხებულ შემთხვევაში გამოიჩინონ თავისი პატრიოტიზმი ბოლგარელ მუშების თავის ქალაზე.

წინაამდეგობათა განელების კლასთა თანამშრომლობის, პარლამენტარულ რეფორმების, თანდათანობითი სოციალიზაციის და ეროვნული ერთობის პროგრამა შავბნელ ტაკიმასხარობათ გვეჩვენება ბურჟუაზიული რეჟიმის სინათლეზე, როგორათაც ის გამოვიდა მსოფლიო ომიდან.

ბურჟუაზიამ ხელაღებით უარყო აზრი შეირიგოს პროლეტარიატი რეფორმებით. ის რყვნის პროლეტარიატის ერთმუჭა ზედაფენებს ნამცეცების ბოძებით და იმავე დროს მორჩილებაში იჭერს უძრავ მასსებს რკინის და სისხლის საშუალებით.

ახლახან არც ერთი სერიოზული საკითხი არ სწყდება ხმების დათვლით. დემოკრატიისაგან მხოლოდ მოგონება დარჩა რეფორმისტების თავში. სახელმწიფოებრივ ორგანიზაცია სულ უფრო და უფრო უახლოვდება თავის პირვანდელ საძირკველს—შეიარაღებულ პირთა რაზმებს. ბურჟუაზია ხმებს კი არ ითვლის, არამედ რიცხვს ვინტოვკების, ტყვიისმფრქვეველთა და ზარბაზნების, რომელიც მას ექნება თავის განკარგულებაში, როცა ძალაუფლების და საკუთრების საკითხი მწვავეთ დაისმება.

არც თანამშრომლობას და არც შუამავლობას ადგილი აღარ აქვს. ბურჟუაზიის დამხობა აუცილებელია ქვეყნის გადასარჩენად. ამის განხორციელება შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატის აჯანყებას.

(დასასრული მე 3 თავის).

# ინტერნაციონალის გარშემო

**კომუნისტური ინტერნაციონალის მე 2 კონგრესი მოსკოვში.**

(გაგრძელება. იხ. „ახ. კომ.“ № 70)

## მეტექვსმეტე სხდომა

(6 აგვისტო)

**ამხ. ზინოვიევი** ხსნის სხდომას და წინადადებას აძლევს კონგრესს უსათუოდ დაათავოს დღესვე მუშაობა.

შვეციის ახალგაზრდობის კავშირის თავმჯდომარე ამხ. მიუნცენბერგი წინააღმდეგია პრეზიდიუმის წინადადების და მოითხოვს, რომ კონგრესმა განიხილოს საკითხი ახალგაზდობის ორგანიზაციის შესახებ.

**ამხ. სილვია პანქრესტიც** წინააღმდეგია აგრეთვე კონგრესის დახურვის, ვინაიდან ფიქრობს, რომ კონგრესს არ ქონია კამათი ბევრი კითხვების შესახებ

**ამხ. ზინოვიევი** იცავს პრეზიდიუმის წინადადებას და ამბობს, რომ აუცილებელია დათავება, რათა შეძლება მიეცეთ ამხანაგებს დაუბრუნდნენ თავიანთ მუშაობას, რომლიდანაც მოჰგლიჯა ისინი კონგრესმა.

პრეზიდიუმის წინადადება მიღებულ იქნა.

მომხსენებლათ საკითხზე კომუნისტურ ინტერნაციონალის ამოცანების შესახებ გამოდის.

### ამხ. როსმერი

რომელიც დაწვრილებით გადმოგვცემს მუშაობის მსვლელობას კომისიაში. ის იუწყება იმის შესახებ, რომ კითხვა ბრიტანიის სოციალისტური პარტიის დამოუკიდებელ მუშათა პარტიაში შესვლის შესახებ გადაჭრილია დადებითად 4 ხმის უმრავლესობით ერთის წინააღმდეგ. თეზისში ახალი პარტიების კომუნისტურ ინტერნაციონალის შემადგენლობაში შესვლის შესახებ შეტანილია დამატება იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ დღევანდელ კონგრესამდე ყოველი ასეთი პარტიის ორ მესამედს კომუნისტები შეადგენენ.

შეტანილია აგრეთვე შესწორება მე-5 §-ში; ეს შესწორება მდგომარეობს იმაში, რომ კომუნისტურ პარტიებს აფრთხილებენ ხელოვნურათ რევოლიუციის დაჩქარებისაგან, სანამ ჯერ კიდევ არ არსებობს რევოლიუციის ობიექტიური წინასწარი პირობები. ამ შემთხვევაში აუცილებელია პროლეტარიატის მომზადება მთელი რიგ რევოლიუციონური აქტების სისტემის დახმარებით, რომლებიც საერთოთ ქმნის რევოლიუციონურ კონიუნქტურას. კითხვა იტალიის სოციალისტურ პარტიის შესახებ გადაწყვეტილია იმ მხრით, რომ წინადადება ეძლევა მიიწვიოს კონგრესი და კონგრესზე გაარჩიოს მესამე ინტერნაციონალის ყველა დადგენილებები. იმ შემთხვევაში, თუ პარტიის ცალკე წევრები არ მიიღებენ ამ თეზისებს, ისინი თვით ამით ავტომატიურათ გამოირიცხებიან პარტიიდან.

შემდეგ სიტყვას ღებულობს

### ამხ. სილვია პანქრესტი

მას გაჰყავს პარალელი ინგლისსა და სხვა ქვეყნებს შორის და აღნიშნავს, რომ ინგლისშიაც აგრეთვე არაჩვეულებრივათ ძნელია დემარკაციული ხაზის გაყვანა სხვადასხვა სოციალურ და პოლიტიკურ ჯგუფების იდეოლოგიებს შორის. ხშირად ხდება, რომ ამ მიზეზით ძნელია თითქმის განსაზღვრული პიროვნების პოლიტიკური ფიზიონომიის გამორკვევაც კი. ასე, მაგალითად, ვილიამს ბოგრი თითქმის კომუნისტადაც კი თვლიდა, ყოველ შემთხვევაში საბჭოთა ძალა-უფლების მომხრეთ, ხოლო, ნამდვილათ კი, უკანასკნელ დროს ჩვენ გავიგეთ, რომ ის ხელს უწევს პოლონეთისათვის სამხედრო სურსათის გაგზავნას.

შემდეგ ამხ. სილვა პანქრესტი ჩერდება იმ ურთიერთობებზე, რომლებიც არსებობს მუშათა პარტიის შიგნით. სასტიკ კონტროლს უკეთებს ცენტრი მუშათა პარტიის ცალკე წარმომადგენლების პოლიტიკურ გამოსვლებს. შევდივართ რა მუშათა პარტიაში, ჩვენ თვით ამით ვარდებით ჩვენთვის მეტისმეტად არა სასურველ პოლიტიკურ კონტროლის ქვეშ, რომელიც კიდევ უფრო რთულდება პარტიის ძველი დემოკრატიული და პარლამენტარული ტრადიციებით. შეუძლებელია გამოიყენო ინგლისის რევოლიუციის საკითხის გადაჭრის დროს რუსეთის გამოცდილებიდან, ვინაიდან პირობები მეტად სხვადასხვაა. თუ კომუნისტური ინტერნაციონალი გადაჭრის კითხვას დადებითად, რასაკვირველია, ბრიტანიის სოციალისტური პარტია შევა მუშათა პარტიის შემადგენლობაში. მაგრამ კონგრესმა უნდა იცოდეს, რომ ასეთი გადაწყვეტილებით ის რევოლიუციის ბედს ინგლისში ტოვებს მუშათა პარტიის ხელში.

### ამხ. მაკლეინს

მოყავს ფაქტების მთელი რიგი, რომელიც უარყოფს ამხ. სილვია პანქრესტის თვალსაზრისს. ის თვლის, რომ მუშათა პარტია ეს მხოლოდ პოლიტიკური გამოხატულებაა ტრედუნიონებში შეკავშირებულ ინგლისის მუშების სულისკვეთების, და რომ აუცილებელია მუშაობის გაგრძელება დამოუკიდებელ მუშათა პარტიის შიგნით. ამხ. მაკლეინის აზრით არის სრული შესაძლებლობა ამ მუშაობის ჩატარების, ვინაიდან მუშათა პარტიის შიგნით პოლიტიკურ აგიტაციის უფლება და სიტყვის თავისუფლება არ განიცდის ჯერ-ჯერობით არავითარ შეზღუდვას.

### ამხ. გალახერი

ამბობს, რომ ამ კითხვის გარშემო ინგლისში უკვე ოცი წელიწადია სწარმოებს კამათი. იქ ფიქრობენ, რომ დამოუკიდებელ მუშათა პარტიაში საჭიროა შესვლა იმიტომ, რომ კონტაქტში ვიყოთ მუშათა მასსებთან. მაგრამ აი შოტლანდიაში, მაგალითად, ჩვენ ვმუშაობდით აუტანელ მძიმე პირობებში მუშათა პარტიის გარეშე, და მაინც რევოლიუციისთვის ბევრი რამ გაკეთდა. ამხ. გალახერი იხსენიებს ლოიდ ჯორჯის მის დამქაშებით: პოლიციით, სოციალ-პატრიოტულ აგიტაციით და სხვ. თავდასხმას და სხვ. მაგრამ მიუხედავათ ამისა გლაზკოს მუშები პროლეტარულ იდეოლოგიის და პროლეტარულ ინტერესების ერთგული დარჩენ. ამხ. გალახერი ითხოვს, რომ ნუ აჩქარებენ და ნუ აიძულებენ ინგლისის კომუნისტებს შევიდნენ მუშათა პარტიაში. მთელი მათი მოქმედება დღევანდელ მომენტამდის იწვევს მათში ზიზღს ამ აქტისადმი. ის ითხოვს ანგარიში გაუწიონ ამ ფაქტს.

შემდეგ გამოდის

### ამხ. ლენინი

ის ამბობს, რომ ის გარემოება, რომ ეს კითხვა უკვე 20 წელიწადია ირჩევა ინგლისის მუშათა წრეებში, ამტკიცებს მის მნიშვნელობას და ცხოველმყოფლობას. მუშათა პარტია, წინააღმდეგ ამხ. მაკლეინის მტკიცებისა, არ გამოხატავს ინგლისის მუშათა კლასის შეკავშირებულ ტრედუნიონების პოლიტიკურ სულისკვეთებას. ის გამოხატავს შეხედულებებს და სულისკვეთებებს თავის ხელმძღვანელებისას, რომლებიც ყველაზე უფრო გაბურჟუებული, გარეაქციონერებული ლაქიები არიან ინგლისის იმპერიალიზმის. ხოლო საჭიროა კი, რომ ის ნამდვილათ გამოხატავდეს პროლეტარიატის იდეოლოგიას და ინტერესებს. რასაკვირველია, ბრიტანიის მუშათა პარტიაში არიან ელემენტები კომუნისტური აზრით არა საკმარისათ მაღალ თვისების. ხოლო თუმცა ამხ. გალახერი მართალიცაა ამ მხრივ, მაგრამ ის ვერ ამჩნევს ანდა, უფრო სწრაფად რომ ვსთქვათ, არ აქცევს ყურადღებას იმას, რომ მასში და მის გარეთ არის საკმარისი რიცხვი მუშარევოლიუციონერებისა, რომლებიც ანამდისაც მუდამ ებრძოდენ ოპორტიუნიზმს და ბურჟუაზიის ლაქიების სოციალ-გამყიდველურ ტაქტიკას. ამავე დროს ეს გამცემლები მუშათა პარტიის სათავეში დგანან, რომელიც წარმოადგენს ქვეყანაზე უნახავ მოვლენას, გამოხატავს რა მის რიგებში 4 მილიონ შეკავშირებულ მუშის პოლიტიკურ ნებას.

თქვენ ამბობთ იმას, რომ იმათ შეუძლიათ გამოგრიცხონ პარტიიდან, თუ ისე მოიქცევით, როგორც კომუნისტები. მე კი ვფიქრობ წინააღმდეგს, რომ თუ თქვენ მოიქცევით ისე როგორც კომუნისტები, თქვენ შესძლებთ მათ გამორიცხვას პარტიიდან. ინგლისის ბურჟუაზია ყველაზე უფრო ჭკვიანი ბურჟუაზიაა. იმის მაგივრათ, რომ შექმნას, როგორც ეს თქვენ გინდათ, პატარა ყოველგვარ გავლენას და მნიშვნელობას მოკლებული პარტიები, ის ხელთ იგდებს ძალა-უფლებას 4 მილიონ პოლიტიკურათ შეკავშირებულ მუშებზე, აყენებს რა მას სათავეში თავის ნოქრებს. თქვენ თქვენს პრესაში და აგიტაციაში, მიტინგებზე და კრებებზე გარკვევით უნდა გამოშკარათ გენდერსონის და სხვა სოციალ-გამყიდველების ფიზიონომია.

იმ პირობებში, რომლებიც შავათ თეთრზე აღნიშნულია ჩვენს თეზისებში, თქვენ ხედავთ, რომ სწორეთ ამ მიზნისთვის და მხოლოდ ამ მიზნის განხორციელების შესაძლებლობის შემთხვევაში შედიხართ თქვენ დამოუკიდებელ მუშათა პარტიაში. არ შეიძლება აგრეთვე ყოველგვარი პარტიის გარეშე მუშაობა. რომ ამხ. გალახერი და სხვები მუშაობდენ ორგანიზაციულათ, შედიოდენ კომუნისტურ პარტიაში, მაშინ ვეჭვობ მომხდარიყო ისეთი მოვლენა, როგორსაც ვამჩნევთ ჩვენ ირლანდიაში, სადაც 200 ათასი შეიარაღებული და ჯარის კაცათ გამოწყობილი ინგლისელი მუშა და გლეხი ანხორციელებს კაპიტალისტების საზიზღარ ნაციონალურ ჩაგვრას და ძალდატანებას ირლანდიის ხალხზე. თქვენ მუდამ ლაპარაკობთ ინგლისის და სხვა ქვეყნების პირობების განსხვავებაზე. რამდენათაც თქვენ შემოდიხართ კომუნისტურ ინტერნაციონალში, უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენ უნდა ხელმძღვანელობდეთ არა მარტო ინგლისის გამოცდილებით, არამედ საერთო რევოლიუციონურ გამოცდილებითაც.

ამხ. ლენინის სიტყვის შემდეგ ხდება თეზისების კენჭის ყრა. ამხ. ზინოვიევი წინადადებას იძლევა უპირველეს ყოვლისა კენჭი უყარონ ცალკე თეზისს ბრიტანიის სოციალისტურ პარტიის ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიაში შესვლის შესახებ. 48 ხმის უმრავლესობით 24 წინააღმდეგ, (ორმა თავი შეიკავა) ეს თეზისი მიღებულ იქნა. შემდეგ 63 ხმის უმრავლესობით 2 წინააღმდეგ (ერთმა თავი შეიკავა) მიღებულ იქნა თეზისები მთლიანათ.

### ამხ. ზინოვიევი.

აუწყებს კრებას, რომ ხვალ დიდ თეატრში მოხდება მოსკოვის საბჭოსთან და ცენტრალურ აღმასკომთან ერთად კონგრესის საზეიმო დახურვა. დღევანდელი სხდომით თავდება კონგრესის საქმიანი ნაწილი.

ინგლისის, გერმანიის და საფრანგეთის ჯგუფებიდან გამოდიან დელეგატები და მხურვალე მადლობას უძღვნიან ამხ. ბალაბანოვას კონგრესის სხდომებზე წარმოთქმულ ყველა სიტყვების გადათარგმნისათვის.

სხდომა იხურება ღამის 12 საათზე ინტერნაციონალის კარმანიოლის სიმღერით. მქუხარე ტაშის ცემაში დიდხანს გაისმის ხმები: „გაუმარჯოს პროლეტარულ რუსეთს“! გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის წინამძღოლს—ამხ. ლენინს“! „გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას“!

## საზეიმო გაერთიანებული სხდომა 7 აგვისტოს.

მოსკოვის პროლეტარიატი მიესალმა მე 3 ინტერნაციონალის მე-2 კონგრესს 27 ივლისის ძლიერ და გრანდიოზულ დღესასწაულზე.

7 აგვისტოს დიდ თეატრში მე-2 კონგრესს დელეგატების ს. რ. ფ. კ. წევრებთან, მოსკოვის საბჭოსთან რ. კ. პ. მოსკოვის ორგანიზასთან, ს. რ. რ. პ. კ. ს. საფაბრიკო-ხაქარხნო კომიტეტებთან ერთად გაერთიანებულ სხდომაზე რუსეთის შეკავშირებული პროლეტარიატი მიესალმა მთელი მსოფლიოს კომუნისტებს, რომლებიც ჩამოვიდენ წითელ მოსკოვში.

კონგრესის წევრები იკავებდენ ადგილებს ტრიბუნაზე. პრეზიდიუმის მაგიდის გარშემო არიან: ამხანაგები კალინინი, სერრატი, ტროცკი, ლევი, ზინოვიევი, მაკლინი, ბუხარინი, რადეკი და სხვა. საპერეტი დარბაზი გაჭედილია ხალხით, სცენა და ორკესტრი გაჩირაღდნებულია, ირევიან პიტერის კინემატოგრაფისტები და ფოტოგრაფები თავიანთი აპარატებით.

საზეიმო სხდომა გახსნილ იქმნა თავმჯდომარის,

### ამხ. კალინინის

მიერ, რომელიც მიესალმა მთელი რუსეთის პროლეტარიატის სახელით ძვირფასს სტუმრებს და განაცხადა, რომ მე-2 კონგრესის მუშაობას გადაჰქვს გაუგონარი მძიმე რევოლიუციონური ტვირთი რუსეთის პროლეტარიატის ბეჭებიდან სხვა ქვეყნების კომუნისტების ბეჭებზე. ორატორმა მიგვითითა პროლეტარულ სოლიდარობის რამდენიმე მაგალითზე, როდესაც ინგლისის, გერმანიის და იტალიის მუშებმა ბოიკოტს უცხადებ[...] თეთრ პოლონეთს და ვარს ამბობენ სა[...] ხედრო მასალის გადატვირთვაზე.

შემდეგ თავმჯდომარე სიტყვას აძლე[...] შოტლანდიის მუშათა წარმომადგენელ[...]

### ამხ. კალიკერუსს.

შეკრებილნი დიდხანს ესალმებიან ტი[...] პიურ მუშას, გამოცდილ რევოლიუციო[...] ნერს და მებრძოლს კომუნიზმისათვის[...] იმპერიალისტურ ომის დროს. მოკლე[...] მაგრამ მგრძნობიარე სიტყვაში ამხ. კალ[...] კერი ამტკიცებს, რომ ინგლისის ბურ[...] ჟუაზიულ მთავრობას აზრათ აქვს მოაწ[...] ყოს ახალი გამოლაშქრება კომუნისტურ[...] რუსეთზე თეთრ პოლონეთის დასახმა[...] რებლათ. ორატორი ფიცს სდებს, რომ ინგლისში დაბრუნებისას ის ყველა სა[...] შუალებით აგიტაციას გასწევს ინგლისის მუშებში საბჭოთა რუსეთის და მის ძლევა მოსილი წითელი არმიის დახმა[...] რებისათვის.

ფინელი კომუნისტების სახელით გა[...] მოდის

### ამხ. მანნერი,

იმ სოციალისტური ფინეთის სახალხო კომისართა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, რომელიც დაეცა გერმანიის იმპე[...] რიალიზმის ლახვარით.

**ამხ. მანნერი** ამბობს, რომ იმ დროს როდესაც ფინეთის ბურჟუაზია [...] პარაკებას აწარმოებს საბჭოთა რ[...] თან იურიევში, ინგლისი აქეზებს მ[...] პეტროგრადზე გასალაშქრებლათ. [...] ბურჟუაზია გაბედავს ამ ნაბიჯის გად[...] დგმას, მას მოელის რევოლიუციონ[...] პროლეტარიატის ლახვარი ზურგიდან.

გერმანიის კომუნისტური პარტიის (სპარტაკელების) წარმომადგენელი.

### ამხ. ლევი,

რომელსაც დიდი ოვაციებით შეხ[...] დენ, ამბობს, რომ მსოფლიო კაპიტალ[...] იმპერიალისტურ ხოცვა-ჟლეტის შე[...] გათ ვერ მიაღწია თავის მიზნებს [...] ჩვენ ვიმყოფებით ახალი დიდი ომ[...] წინ, ორატორი ამტკიცებს, რომ გერმა[...] ნიის პროლეტარიატი დღეს უკვე [...] აღარ არის, რაც 1914 წ. ის აღნიშნა[...] კაპიტალიზმის კრახს, წარმოების დაცე[...] მას, სიღატაკეს და კომუნისტურ მო[...] რაობის ზრდას. ამხ. ლევი ესალმე[...] საბჭოთა რუსეთს და მის ძლევამოსილ წითელ არმიას.

პოლონელ კომუნისტების სახელ[...] გამოდის.

### ამხ. რადეკი

პოლონელი პროლეტარები სიტყვებ[...] კიარა, არამედ საქმით მიესალმებ[...] ინტერნაციონალის მსოფლიო კონგრე[...] გაკოტრებულთა მთავრობამ, პილსუდ[...] კის მეთაურობით ციხეებში ჩაყარა ა[...] ბით პოლონელი კომუნისტები, — მაგ[...] მაინც პოლონეთს ემუქრება ამ ჟამ[...] არა მარტო წითელი არმია, არამ[...] ძლიერი კომუნისტური მოძრაობაც პ[...] ლონელ მუშებში. პოლონეთს საბჭოთ[...] რუსეთთან ბრძოლაში ეხმარება ანტა[...] ტა, ჩვენი გალაშქრება თეთრ პოლონე[...] თზე პოლონეთის მუშათა კლასისთვ[...] დახმარებაა. ჩვენ ხელახლა ვპოულობ[...] რევოლიუციონურ ტრადიციებით [...] კურთხ ლოზუნგს: „ჩვენი და თქვენ[...] თავისუფლებისთვის“. ჩვენ საერთო ამო[...] ცანა გვაქვს და პოლონელი მუშები [...] ვლენ რუსეთის პროლეტარიატთან ე[...] თათ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი სრულ [...] მარჯვებამდის.

შემდეგ გამოსულ **ამხ. ტროცკის** შეხვდენ დიდი ოვაციებით. დამახასია[...] თებელია, რომ ოვაციებში მონაწილე[...] ბა მიიღეს არა მარტო რუსმა ამხან[...] გებმა, არამედ კონგრესის დელეგატ[...] მაც- სტიქიურათ მისალმებები გადა[...] და ჩვენი პროლეტარული ჰიმნის ამა[...] ლევებელ ერთსულოვან სიმღერაზე.

ამხ. ტროცკიმ წარმოსთქვა დი[...] შინაარსით და რევოლიუციონურ პა[...] სით სავსე სიტყვა, რომელშიაც გად[...] ალაგა იმ მანიფესტის შინაარსი, რ[...] ლითაც განზრახული აქვს მე-3 ინტ[...] ნაციონალის კონგრესს მიმართოს მთ[...] მსოფლიოს ხალხებს. ორატორმა სა[...] კი და დაწვრილებითი ანალიზი გა[...] თა ბურჟუაზიულ იმპერიალისტურ მსოფ[...] ლიო პოლიტიკურ სოციალურ დ ეკონ[...]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურდამოკიდებულებას პროლეტარულ საბჭოთა რესპუბლიკასთან და მთელი ქვეყნის კომუნისტურ მოძრაობასთან. ვეებერთელა რევოლიუციონური გამოცდილება, გაუგონარი გაჭირვებები—და მაინც საბჭოთა რუსეთის გამარჯვება კომუნიზმის გამარჯვების თავდებია მთელ მსოფლიოზე.

— ჩვენს სამჭედლოში,—ათავებს ამხ. ტროცკი,— ჩვენი ფოლადიდან, ჩვენი რევოლიუციის ცეცხლში გამოვსჭედეთ ჩვენ, ჩვენს სამოქალაქო ომში გამოვსწვით ის ხმალი, რომელსაც ვაბარებთ ახლა მსოფლიო პროლეტარიატს საბრძოლველად.

მხურვალეთ მიესალმა აგრეთვე კრება ერთხმად არჩეულ კომინტერნის აღმასკომის თავმჯდომარეს

**ამხ. ზინოვიევს,**

რომელმაც თავის სიტყვაში ჯამი გაუკეთა კომუნისტურ ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის დაჭიმულ მუშაობას.

ინტერნაციონალის სიმღერით მე-3 ინტერნაციონალის მე-2 კონგრესი იხურება.

**კომუნისტური ინტერნაციონალის ახალი აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სხდომა.**

7 აგვისტოს შესდგა კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესზე არჩეული აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სხდომა.

კომიტეტის, მებრძოლ მსოფლიო პროლეტარიატის ამ გენერალურ შტაბის შემადგენლობა შემდეგია:

გერმანიიდან—ამხ. ლევი (კანდიდატათ—ამხ. მეიერი, საფრანგეთიდან—ამხ. როსმერი, ინგლისიდან—ამხ. კველჩი (ინგლისის ყველა პარტიებიდან და მათ რიცხვში შოპ-სტუარტიდანაც გარდა პანქრესტის ჯგუფისა), ამერიკიდან—ამხ. ჯონ-რიდი, იტალიიდან—ამხ. სერრატი, ავსტრიიდან—ამხ. შტეინხარტი, სკანდინავიიდან—ამხ. ფრინისი (ნორვეგია, შვეცია, დანია, ბოლო ხანს დადგენილი იქნა შვეციას მისცეს განსაკუთრებული ხმა) ბულგარეთიდან—ამხ. შაბლინი, სამხრეთ-სლავიიდან—ამხ. მილკიჩი, ჰუნგრეთიდან — ამხ. რუდნიანსკი (კანდიდატი—ვარგა, ახლო-აღმოსავლეთიდან—ამხ. სულდან-ზადე, შორეულ-აღმოსავლეთიდან— ამხ პავი, ფინეთიდან—ამხ, მანნერი, ჰოლანდიიდან—ამხ. ვაინკოპი (კანდიდატი—იანსონი).

რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ თანახმათ კონგრესის დადგენილებისა გააგზავნა 5 დელეგატი: ამხ. ამხ. გ. ზინოვიევი, ნ. ბუხარინი, კ. რადეკი, მ. ტამსკი, მ. კობეცკი; კანდიდატებათ: ნ. ლენინი, ტროცკი, ვერზინი, სტალინი, პავლოვიჩი და ჩიჩერინი.

სხდომას დაესწრენ აგრეთვე სხვა ამხანაგებიც სათათბირო ხმის უფლებით—სხვა და სხვა პარტიების და ჯგუფების აწრმომადგენლები.

კომუნისტურ ინტერნაციონალის ახალი აღმასკომის თავმჯდომარეთ ხელახლა არჩეულ იქნა ერთხმათ ამხ. ზინოვიევი. აღმასკომმ ხელმძღვანელ ვიწრო ბიუროში (პრეზიდიუმში) არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. გ. ზინოვიევი, ნ. ბუხარინი, ე. მეიერი, რუდნიანსკი და კობეცკი.

კომინტერნის აღმასკომის მდივნათ ამხ. რადეკის ფრონტზე გასვლის გამო, არჩეულ იქნა ამხ. კობეცკი.

ლითონზე მომუშავეთა საერთაშორისო ყრილობაზე დელეგატების გასვლის გამო ირჩევა საკითხი კომინტერნის—ამ დელეგატების დირექტივების შესახებ.

იწყება პრინციპიალური დისკუსია კომინტერნის ამოცანების შესახებ პროფ. კავშირების დარგში. ძირითად კითხვებზე აღმასკომი აძლევს დელეგაციას შემდეგ დირექტივებს. ნაციონალურ მასშტაბში მემარჯვენე ოპორტიუნისტულ კავშირებთან რასკოლი დასაშვებია მხოლოდ გამონაკლისის სახით, ვინაიდან აქ საქმე ეხება მასიურ ორგანიზაციებს, რომელიც უნდა იქნეს დაპყრობილი შიგნიდან. ინტერნაციონალურ მასშტაბით წინააღმდეგ უნდა წავიდეთ გათიშვაზე, ვინაიდან ამსტერდამის ყვითელი გაერთიანება ბურჟუაზიის უმთავრესი ყავარჯენია. ხოლო ამსტერდამის და საერთაშორისო კავშირთა გაერთიანებების „ბელადები“ — „საქმეების“ მოჰახრაკენი არიან, რომლებიც მოხერხებით ყვლეფენ პროფესიონალურ მოძრაობას, დააწვენ რა კავშირებს ზურგზე. ლითონზე მომუშავეთა საერთაშორისო ყრილობაზე, აუცილებელია რაც არ უნდა იყოს გამოვთიშოთ ყვითელ ამსტერდამიდან, თუ გინდ კავშირების ნაწილი მაინც.

# ბიულეტენი პრესბიუროსი

**რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.**

**სად არის ნიკოლოზ ნიკოლოზისძე?**

**მოსკოვი,** 16 ოქტომბერი. პოლონეთის გაზეთების ცნობით, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზისძე ამჟამათ ვრანგელის გენერალურ შტაბშია.

**ქვა-ნახშირზე მომუშავეთა გაფიცვები ინგლისში.**

**მოსკოვი,** 16 ოქტ. რამდენიმე ქალაქში ქვა-ნახშირზე მომუშავეები გაიფიცენ. მოითხოვენ დღიურ ხელფასის გადიდებას და ნახშირზე ფასების დაწევას. გაფიცულ მუშებმა წითელი გვარდია მოაწყვეს, რომელსაც შტრეიკბეხერებთან შეტაკება ჰქონდა.

**სამხედრო ტყვეების დაბრუნება**

**მოსკოვი,** 16 ოქტ. ოდესაში ჩამოვიდა საფრანგეთიდან 2900 რუსი ტყვე, რომლებსაც ზეიმით შეხვდენ ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები.

**შეიდემანელების ყრილობა.**

**ნაუენი,** 13 ოქტომბერი. კასელში მეუმრავლესეთა ყრილობაზე ველისმა მოითხოვა ვერსალის ზავის პირობების გადასინჯვა. განადგურებულ ოლქების აღდგენა თავს უნდა იდოს მსოფლიო პროლეტარიატმა.

შემდეგ, ველსი მოითხოვს ნეიტრალიტეტის დაცვას რუსეთისადმი და მასთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას, მიუხედავათ იმისა, თუ როგორი მთავრობა არის ან იქნება მის სათავეში. კოვენის წინადადებამ, რომ მიიღოს საფრანგეთის ორიენტაცია, გააფთრებული პროტესტები გამოიწვია.

**ახალი დელეგაცია**

**მოსკოვი,** 13 ოქტომ. პეტროგრადში ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკიის და რუმინიის პროფესიონალური კავშირების დელეგაცია. დელეგაციის ნაწილი დუნკერის მეთაურობით რეველშია ჯერ კიდევ. მთელი დელეგაციის მოსვლას მოსკოვში ხუთშაბათს მოელიან. დელეგაციის შემადგენლობაში ერთი რუმინიის პროფესიონალური კავშირებიდან შედის და ათი ჩეხო-სლოვაკელებიდან.

**ციმბირის რევოლიუციონური კომიტეტის დამტკიცება.**

სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტმა დაამტკიცა ციმბირის რევოლიუციონური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაა: თავმჯდ. სმირნოვი, წევრები: კოგანოვიჩი, შოტმანი, სოკოლოვი, შუმიატსკი, კოსარევი, პაიკერი. შორინი და კავილკინი.

**აღმოსავლეთის ქალთა კონფერენცია.**

**ბაქო,** 14 ოქტომბერი. ასტრახანში შედგა აღმოსავლეთის უპარტიო ქალთა ყრილობა, სადაც კომუნისტების რეზოლიუცია მიიღეს.

**საფრანგეთი შეძრწუნებულია.**

**მოსკოვი,** 14 ოქტომბერი. პარიჟის გაზეთებმა ერთი ალიაქოთი ასტეხეს რუსეთსა და პოლონეთს შორის ჩამოგდებულ ზავის გამო. ისინი ირწმუნებიან, რომ ზავი ზამთრის გასვლის შემდეგ შეწყდება, გაზაფხულზე ომი ისევ განახლდებაო. ამასთან ერთად საფრანგეთის გაზეთები შიშს გამოსთქვამენ, რომ ვრანგელის განადგურება უეჭველათ მოყვება ამ ზავსო. გაზეთები მოუწოდებენ მთავრობას გაძლიერებული დახმარება გაუწიოს ბარონს.

**ელექტრონის მატარებელი.**

**მოსკოვი,** 14 ოქტომბერი. პირველი ცდა ელექტრონის მატარებლის გაშვება პეტერბურგიდან მოსკოვში მშვენივრად ჩატარდა.

**კომუნისტურ ინტერნაციონალის სახელობაზე გამართული სუბბოტნიკი**

**ბაქო,** 10 ოქტომბერი. კომუნისტური ინტერნაციონალის და აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის აღსანიშნავ სუბბოტნიკში 25,000 კაცი ღებულობდა მონაწილეობას, მათ შორის 4,419 პარტიული მუშა იყო, 56,8 პროც. სუბბოტნიკში მონაწილე მუშებისა, რომელიც დახელოვნებულ მუშებს თხოულობს.

სუბბოტნიკმა სახალხო მეურნეობას—1,660,000 მან. მოგება მისცა.

* * *

სანამდი უნდა დავაგუბო
მოღლილი სულში
ზღვა-ოკეანეთ მოწოლილი
ჩუმი სიმღერა?
პასუხს არ ველი, მეგობარო,
პასუხს არ ველი,—
და, გულმაც, ასე, დაიკვნესა,
დაიწყო ძგერა...

მაისის თვეში არ ვიცოდით
რა იყო დარდი,
სასაფლაოზე წითელ გრძნობებს
ვარდებათ ვშლიდით,
როგორ ეტრფოდი ჩემ სიმღერებს!—
როგორ მიყვარდი?—
მეჯლისი იყო: სადღეგრძელოს
ვცლიდით და ვცლიდით...

ეხლა, იმ წუთებს სასიცოცხლოს
იგონებს ქნარი,
გული კი ისევ თქვენ დაგეძებს,
სადა ხართ ძმებო!
გმირებს დავეძებ, რომ შევკრიბო
ისევ ლაშქარი,—
თუმც ბრძოლის ველზე მარტო დავრჩი
მთის არწივებო.

მაშ, თუ გრიგალი ისევ ისე
დაიძრა სულში,—
რისთვის შეიქნა სევდიანი
ჩემი სიმღერა?—
პასუხს არ ველი, მეგობარო,
პასუხს არ ველი,—
და, გულმაც, ასე, დაიკვნესა,
დაიწყო ძგერა...

**ი. ხონელი.**

# უკანასკნელი ცნობები

**სამხ. ოპერატ. 14 ოქტომბრის რადიო-ცნობა რესპუბლიკის „რევოენსოვეტის“ საველე შტაბისა.**

**მოსკოვი, 16 ოქტომბერი.**

**პოლონეთის ფრონტი**

სპასკის და მოლოდენჩენკოს მიმართულებით ჩვენი ნაწილები ახალ პოზიციებზე გადაგვყავს.

მინსკის რაიონში მოწინააღმდეგე ას ვერსიან ფრონტზე ცხარე შეტევას განაგრძობს. მრავალხნის ბრძოლის შემდეგ 15 ოქტომბერს ჩვენმა ნაწილებმა ინსკი დასტოვეს.

სლუცკის აღმოსავლეთით მკაცრი ბრძოლები გრძელდება.

ნოვოუშინის რაიონში მოწინააღმდეგეს მედგარი იერიშები მოაქვს.

**ყირიმის ფრონტზე.**

ბერისლავის რაიონში ჩვენი ნაწილები შეტევაზე გადავიდენ და მტერი სამხრეთისაკენ უკუ აქციეს; ხელში ჩაიგდეს 9 ტანკი, ერთი ჯავშნოსანი და ხუთი ტყვიისმფრქველი.

**გერმანიაში ელიან წითელ ზამთარს.**

**ნაუენი,** 17 ოქტომბერი. „დეილი ნიუსის“ კორესპოდენტი ნიუ იორკში შემდეგს ითვლიბა:

„გალეში მომხდარი ამბები დამოუკიდებელთა ყრილობაზე გერმანიას წითელ ზამთარს უწინასწარმეტყველებს. დამოუკიდებელთა წიაღიდან წარმოშობილმოწყობილი კომუნისტური პარტია მოსკოვის ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით აპირობს მუშაობას. პროლეტარული რევოლიუცია დღითი დღე იზრდება, მთავრობა გრძნობს რა თავის სისუსტეს, ყოველივეს გულ-ხელ დაკრეფილი უცქერის. ახალი კომუნისტური პარტიას ნახევარი მილიონი წევრი ყავს და რეიხსტაგში 30—40 ადგილი ექნება. ამით პარლამენტის მარცხენა ფრთა ძლიერდება. მემარცხენები დიდი იმედებით ელიან ზამთარს, როდესაც სანოვაგის უქონლობა და უმუშევარობის ზრდა უფრო გაარევოლიუციონერებს მასებს.

მთავრობა ამ ყრილობის გამო შეშფოთებულია. თან ანტანტანტის მხრივ გერმანიის შევიწროებაც კიდევ უფრო აღვივებს რევოლიუციონურ სულის კვეთებას. ზომიერ დამოუკიდებელთა ოთხი ბელადი მემარცხენეებისაკენ გადავიდნენ და მით გააძლიერეს უმრავლესობა, რომელიც მოსკოვის ორიენტაციას უჭერს მხარს.

**პოლონეთის ფრონტი**

პოლოცკის რაიონში ჩვენი ნაწილები სახელმწიფოებრივ საზღვრებისკენ იხევენ.

მინსკის რაიონში პოლონელები იერიშებს განაგრძობენ. ჩვენი ნაწილები გმირულათ იგერიებენ.

სლუცკის აღმოსავლეთით ჩვენმა ნაწილებმა, მოიგერიეს რა პოლონელების იერიშები, აქა-იქ გადავიდენ შეტევაზე და სლუცკის სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფლები დაიკავეს.

ლუნინეცკის მიმართულებით ადგილობრივი ხასიათის ბრძოლებია.

სარნესკის მიმართულებით მოწინააღმდეგის იერიშები მდ. უბორტზე ჩვენ მოვიგერიეთ.

ნოვოგრად-ვოლინის რაიონში ჩვენ ამ ქალაქს 8 ნახ. ვერსზე აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფლის რიგი დავიკავეთ.

სტარო კონსტანტინოვის მიმართულებით მტრის იერიშები არტილერიის ცეცხლით ზურგ-გამაგრებული ნოვო-კონსტანტინოვკასთან და ჩრდილოეთით ჩვენ მოვიგერიეთ.

პროსკუროვის მიმართულებით მდინ. ბუგზე და ლეტიჩევ ბარის ფრონტზე ცხარე ბრძოლებია ცვალებადი შედეგებით. ჩვენ ლეტიჩევი ისევ ავიღეთ.

**ყირიმის ფრონტი.**

ბერისლავის რაიონში ჩვენი ნაწილები შეტევას განაგრძობენ; წაიწიეს წინ 10 ვერსით.

ნიკოპოლის რაიონში ჩვენი ნაწილები ნიკოპოლზე უტევენ.

ალექსანდროვის რაიონში დნეპრის მარჯვენა ნაპირზე ჩვენ სოფლები დავიკავეთ ალექსანდროვსკის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით 20 ვერსზე.

სინელნიკოვოს რაიონში მოწინააღმდეგე შეტევაზე გადმოვიდა. ჩაპლინოპოლოგის რკინის გზის აღმოსავლეთით მდინარე მოკრია-იამის და კაშლავაჩის ნაპირებზე ჩვენმა ნაწილებმა ახალი პოზიციები დაიკავეს.

# სხვა და სხვა ამბები

**საფრანგეთის სოციალისტები საბჭოთა რუსეთის შესახებ**

მე-3 ინტერნაციონალის მე-2 კონგრესზე მყოფმა საფრანგეთის დელეგატებმა გამოაქვეყნეს „ჰუმანიტეში“ თავიანთი შთაბეჭდილებების და დაკვირვებების მოკლე ჯამი რუსეთის შესახებ.

ინახულეს რა მსხვილი სამეურნეო ცენტრები და სოფლების მთელი რიგი ბევრ გუბერნიებში, დელეგატები ყველგან განცვიფრებულნი იყვენ ერთი საერთო მოვლენით: უმოწყალო მუშაობის სახალხო მეურნეობის აღსადგენათ. ამას რასაკვირველია დიდს ხელს უშლის ბლოკადა და პოლონეთთან ომი, მაგრამ ყველა მუშები აღფრთოვანებული არიან მტკიცე რწმენით, რომ დასძლევენ ყველა დაბრკოლებებს. საფრანგეთის დელეგატებთან ბაასში ისინი სრულიადაც არ მალავენ იმ ნაკლს და წვალებებს, რომლებიც მათ განიცადეს უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში, და ნაწილობრივათ ახლაც განიცდიან. ისინი უცვლელათ ხაზს უსვამენ იმას, რომ ამაში დამნაშავე ანტანტაა და გაკვირვებას გამოსთქვამენ, თუ როგორ შეეძლო დასავლეთის პროლეტარიატს, განსაკუთრებით კი საფრანგეთისას, დაეშვა დახშობის ეს საზიზღარი პოლიტიკა.

ფროსარი და კაშენი გულწრფელათ

ძვირფასო ამხანაგებო! „ახ. კომუნისტი“ გამოდის „ბრძოლის“ მაგიერ. ის მუშების და გლეხების გაზეთია; იგი როგორც „ბრძოლა“, ისე „ახ. კომუნისტიც“ დაიცავს მთელი მშრომელი მასსის ყველა დაჩაგრულთა და შევიწროებულთა ინტერესებს. აშკარაა, რომ თავისი ორგანო თვით მუშებმა და გლეხებმა უნდა ასაზრდოონ, თვით მუშებმა და გლეხებმა უნდა მისცენ მას არსებობის საშუალებანი.

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! აღმოუჩინეთ თქვენი არსებით ინტერესების დამცველ გაზეთს „ახ. კომუნისტს“ ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება. მიიღეთ ყოველგვარი ზომები მის გასავრცელებლათ ფართო მასსაში, გამართეთ ხელის მოწერა მის სასარგებლოთ. ამით თქვენ უზრუნველყოფთ მის არსებობას.

**საქართვ. კომუნისტ. ორგანიზაციების დროებ. ცენტრალური კომიტეტი.**

ქედს იხრიან რუსეთის მუშათა კლასის წინაშე, რომელმაც შექმნა უზარმაზარ ტერიტორიაზე ისეთი სოციალისტური რესპუბლიკა, რომლის მოსპობა უკვე ყოვლად შეუძლებელია. რუსი მუშები სამი წლის განმავლობაში მედგრათ იცავდენ საერთაშორისო პროლეტარიატის საქმეს: ახლა ისინი მოითხოვენ, რომ მათმა დასავლეთის ამხანაგებმაც თავისი რიგზე მთელი თავიანთი ენერგიით გაილაშქრონ ბურჟუაზიის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

**რუსი რკინისგზელები ფრანგებს**

სადგურ ეისკას მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა, ნებაყოფლობით გადასდოს ერთი დღის ხელფასი საფრანგეთის იმ გაფიცულ რკინისგზელების დახმარების ფონდისთვის, რომლებიც ხელს უშლიან პოლონეთის ფრონტზე სამხედრო მასალის გაგზავნას.

**შვეციის მემარცხენე სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მოწოდება**

შვეციის მემარცხენე სოციალ დემოკრატიულმა პარტიამ გამოაქვეყნა თავის ორგანოში: „პოლიტკენში“ შემდეგი მანიფესტი:

„ჩვენ ვდგავართ ახლა კონტრ რევოლიუციის პროლეტარიატის წინააღმდეგ ჯვაროსნული გალაშქრების წინაშე, რომელიც უკვე დიდი ხანია მზადდებოდა. პოლონეთში მომხდარ ამბების გამო, რომელიც გამოწვეულ იქნა ანტანტის დიქტატურულ მანიის და პოლონეთის შოვინიზმით, ევროპის ხალხები და მუშათა კლასი იმყოფებიან ახალ მსოფლიო ომის მოლოდინში. დღევანდელი ომი ყველა მისგან გამომდინარე შედეგებით არის ანტანტისა და ბურჟუაზიის უკანასკნელი ცდაა კისერი მოუგრიხოს რუსეთის მუშურ რევოლიუციას, და მასთან ერთად მთელი მსფლიო პროლეტარიატის მოძრაობას. დემოკრატიულ პაციფიზმის ბრმა პოლიტიკა იმ ხალხთა ლიგას, რომლის შემადგენლობაში აიძულეს შესულიყვნენ წვრილი ხალხებიც, აგდებს მათ მასთან ერთად საფრთხეში მოქცეულ იქნენ ახალი ომის ორომტრიალში.

იმ კრიტიკულ მომენტში, რომელსაც განვიცდით ახლა, ჩვენი მოვალეობაა, როგორც საკუთარი ქვეყნის პროლეტარიატის მიმართ, ისე მთელი მსოფლიო პროლეტარიატის მიმართაც ყველა ჩვენს განკარგულებაში არსებულ საშუალებებით წინაღუდგეთ ყოველგვარ ცდას ანუ ნაბიჯს, რომელიც მიმართულ იქნება კაპიტალისტურ ანტანტის დახმარებისაკენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

აუცილებელია რაც არ უნდა იყოს არ დაუშვა შვეციის მონაწილეობა ახალ სიმშილის ბლოკადაში. ამიტომ ჩვენ გარკვევით ვაცხადებთ: მტკიცეთ გვრწამს, რომ მთავრობა არავითარ საბაბს არ მოგვცემს ეჭვი შევიტანოთ მის გულწრფელობაში და სიმტკიცეში დაიცვას ნეიტრალიტეტი. ამ მისწრაფების განსამტკიცებლით ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ ურთიერთობის აღდგენას საბჭოთა რუსეთთან.

ჩვენ გვსურს, რომ ახლანდელ მომენტში, რომელიც საფრთხილობა განსაკუთრებით შვეციისათვის მისი გეოგრაფიული მდგომარეობის გამო აღმოსავლეთის და დასავლეთის შორის, მუშები დარაჯათ ედგენ ჩვენს საგარეო პოლიტიკას; ჩვენ მოვითხოვთ, რომ მუშებმა კრებებით და დემონსტრაციებით განაცხადონ თავიანთი სოლიდარობის შესახებ რუსეთის მუშათა მასების განმათავისუფლებელ მოძრაობასთან და მზად იყვენ პირველი მოწოდებისთანავე მიმართონ ყველა საშუალებებს, რათა არ დაუშვან არც პირდაპირ და არც არაპირდაპირი დახმარება კონტრევოლიუციონურ სახელმწიფოებისადმი.

მემარცხენე სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სახელით მუშათა აღმასრულებელი კომიტეტი.

# წერილი ქუთაისიდან

**ქუთაისის პროფესიონალური კავშირები და მენშევიკები.**

„ნაფიცი“ მენშევიკები ყოველ წუთს ყოველ კუთხიდან გაიძახიან და ვითომ ხალხს აჯერებენ—ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა ერთად-ერთი რესპუბლიკაა მთელ დედამიწის ზურგზე, სადაც სამოთხეა დამყარებული. მართლაც სამოთხეა დამყარებული ყოველ ჯურის კონტრ-

რევოლიუციონერებისათვის და სპეკულიანტებისათვის. მათთვის ჩვენი ედემის სამყარო ფართო სარბიელია. მაშ თუ აქ არა, სად უნდა შეაფარონ ათვი!.. ამგვარ თავშეფარებულებს დღემდინ ჰქონდათ ერთი აუცილებელი დავალება — ჩამოსვლისათანავე უნდა უთუოდ გამოცხადებულიყო „ერთობის" რედაქციაში და უფროს მის ღვიძლ ძმასთან „ბორბაში". აქ, რასაკვირველია, ჩვეულებრივად მოჰყვებოდენ საბჭოთა რუსეთის გინებას, რასაც კიდევ თავიანთ გემოზე შეაკეთებდენ ზემოხსენებული ძმობილი რედაქციები და დაბეჭდავდენ. ეხლა დრო იცვალა, მარტო გაზეთების ფურცლებზე ბეჭდვა არ არის საკმარისი. საჭიროა დემოკრატიის გათვითცნობიერება. ამ საშუალებისათვის დააწყებიეს ძალაუნებურათ ყველა რუსეთიდან ჩამოსულებს ლექტორობა, რასაც რასაკვირველია, ახლათ გამოჩეკილი მოხეტიალე ლექტორები პირნათლად ასრულებენ თავიანთ დავალებას ტ გაათვითცნობიერებას მუშები. ეს მოხეტიალე ლექტორები სულ იმას გაიძახოდენ გლახა-ჭრიაშვილივით — რუსეთში პური არ არის, გირვანქა პური 1500 მან. თუ იშოვებაო. მუშები უფლება აყრილია, კავშირები მათი არ არსებობს და სხვა. მაგრამ დახეთ მათ უბედურებას. ნათქვამია: „შუბი ხალთაში არ დაიმალებაო". ესე მოუვიდათ მენშევიკების ახალ გამოჩეკილ ლექტორებს: მუშებმა უკვე გაიგეს, რაშია საქმე და მოხეტიალე ლექტორების უფასო ლექციებს არ ესწრებიან — ზიზღი გამოუცხადეს. მათი არაფერი სჯერათ. ბოლოს გაიგეს ისიც, რომ საბჭოთა რუსეთში მშრომელი ხალხის სრული ბატონობა და ყველასთვის შრომის ბეგარაა გამოცხადებული; უმუშევრობა არ არსებობს. ვინც მუშაობს, მათ ყველაფერი აქვთ, მაგალითათ გირვანქა პური ორ მან. ნახევრათ. მხოლოთ ვინც მუშაობას გაურბის და ბნელ საქმეებით უნდა რჩენა, მათთვის პური არ არსებობს. ეს კი საბჭოთა რუსეთის სახელია, რომ ისინი ე. ი. მუქთა ხორები აძლევენ გირვანქა პურში 1500 მან. და მეტს. მხოლოთ ეხლა, რაც შეეხება მუშების უფლებებს და სხვას ეს აქ ჩვენს სამოთხეში, აზიის შვეიცარიაში, განვიხილოთ. ყველა ჩვენმა მუშებმა კარგათ იციან, თუ რა უფლებით სარგებლობენ ჩვენში მუშათა კავშირები და ამიტომაც მუშებმა თვით დაიწყეს მუშათა ცენ. საბჭოსი დამოუკიდებლათ თავიანთ კავშირების გამოცოცხლება, აღდგენა. ჩვენში საერთოთ კავშირების დიდი უმრავლესობას არ აქვს ის მინიმალური უფლებებიც, რომლითაც დიდიხანია სარგებლობენ მუშები ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. მაგ. ჩვენში ქალაქების და ეროზების მუშებს არ აქვთ უფლება კოლექტიური ხელშეკრულების დადების დამქირავებლებთან. მხოლოთ რაც შეეხება მუშების მიღება დათხოვნას ეს ხომ უდავოა დამქირავებლებისათვის და რა დროს უნდა იმ დროს დაითხოვს „კანონიერათ". ეხლა რაც შეეხება მუშების ხელფას ესეც ყველამ იცის, რომ ერთ იმავე ადგილობრივ და ერთგვარ ქარხანაში სხვა და სხვა ფასებია. მაგალითათ ქ. ქუთაისში ერთი თუთუნის ქარხნის პატრონი მუშას მეტს აძლევს, მხოლოთ მეორე კი ნაკლებს; ეს რასაკვირველია ყოველ მუშათა ინტერესების დამცველთათვის გაუგებარია. მაგრამ მენშევიკებისათვის უბრალოა. ისინი ამგვარ მოვლენას ხსნიან მით, რომ ერთი მწარმოებელი დიდია, მეორე კი პატარა. დიდი მწარმოებელი დიდ ქირას შეძლებს, მეორე ვერა, ამიტომ პატარა მწარმოებელს „სულს ხომ ვერ ამოაძრობთო". ე. ი. ეს მათი შეხედულება მეცნიერულ ენით რომ ვთქვათ არის „მფარველობითი სისტემა" ეს სისტემა კი იმას მოასწავებს, რომ მუშებმა თავიანთი ინტერესები შესწირონ წვრილ მწარმოებლებს, თავი დაანაცვლონ და „სული ამოიძრონ" დღევანდელ ეკონომიურ სიდუხჭირის დროს. *)

ჩვენს რესპუბლიკაში საერთოთ მუშები ერთობ აუტანელ ცუდ პირობებშია და უკვე დეგენერაციის გზაზე დგანან. ჩვენში მუშის უდიდესი თვიური ჯამაგირი 5000 მან. ამით უნდა არჩინონ წვრილი ცოლშვილი როდესაც ფუთი სიმიდის ფქვილი ღირს 2000 მან. ე. ი. თვეში თავის ჯამაგირით იყიდის ორ ფუთ მჭადს. შეშა, ლობიო, წყალი და ნავთი დანარჩენით. ხორცს სიზმარში თუ ჭამს, თუ არა ცხადში ვერ ეღირსება. ტანსაცმელ-ფეხსაცმელზე ლაპარაკიც მეტია, რაც ოდესმე ქონდათ წინეთ ისიც შემოეხიათ. ხშირათ ნახავთ ჩვენი დემოკრატიის სასიქადულოთ ფეხ და ტანშიშველ მუშას. ჩვენში მუშები ყოველ მხრივ შებორკილია, ჯამაგირს ვერ მოიმატებს და ვერც მოითხოვს თუ სატარიფო პალატამ არ მოუმატა. სატარიფო პალატის მომატება კი ვერ უდრის ბაზრის მომატებას. ან როგორ შეუძლია სატარიფო პალატას სხვა გვარათ მოიქცეს. ის ხომ მუშების დაწესებულება არ არის, რომ მუშების ინტერესები დაიცვას. თუ კაპიტალისტ ბურჟუების წარმომადგენლები იმდენია, რამდენიც — ვითომ მუშების წარმომადგენლები. რაც შეეხება ეხლა ვითომ მუშებისადმი ზრუნვას, ამისთვის ჩვენში შექმნეს „მუშათა მაღაზია". ჩვეულებრივათ, როგორც იციან მენშევიკებმა. დაპირება დაპირდენ მუშებს პურს, ბრინჯს, შაქარს, ტანისამოსს და სხვას, მაგრამ არც ერთს გარდა პურისა არავის არაფერი არ ეძლევა. პურს იძლევიან, მაგრამ რაღა მიცემაა, ხან მთელ კვირას მყრალი მჭადი, ხან კი მთელ კვირას არაფერი. და ბოლოს სულ მოგვისპეს. პურის ნაცვლათ იძლევიან ქერს — ქიმიურათ შეზავებულს, რაშიდაც ურევია 45 პროც. პური დანარჩენი ბზე, თივა, მავნე ბალახების თესლი, მიწა, ქვა. ამ გვარათ შეზავებულ პურს ზოგიერთ ოთხფეხ ცხოველის გარდა არავის შეეძლება; რის შესახებადაც ყოველ კუთხიდან მუშებში ისმის პროტესტები. ქუთაისშიდაც ამ ბოლო დროს ზოგიერთ მუშათა კავშირებმა გამოიტანეს სასტიკი პროტესტი, მაგრამ მათი პროტესტი დარჩა ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. აქა იქ მუშებში ხშირათ გაიგონებთ: „გათენდაო, მაგრამ ჩვენთვის კი სულ დაბნელდაო და ნეტა ჩვენთვის როდის გათენდებაო". რასაკვირველია ამ გვარი სულის კვეთება მენშევიკებს არ გამოეპარებათ. იმისთვის არ ჩამოცილდენ მუშების ერთი ნაწილი, ჯერ-ჯერობით, რომ გავლენა აქვთ მუშათა მასაში თბირ თბილ ადგილებზე ყავთ დაბანაკებული. ხშირათ მენშევიკებს მაუმართავთ რომელიმე მუშისათვის „შე კაცო თავი დაგვანებ, და უზრუნველ გყოფთო". თუ ამ გვარმა საქციელმა არ გასჭრა, მაშინ ისინი არ დაერიდებიან არც დაჭერას, არც პროვოკაციას. ეს ხომ დღეს მათი ფარი და აბჯარია. მენშევიკებმა იდეურ ბრძოლის საშუალება ყველგან უარყვეს.

ამ ბოლო დროს როდესაც მუშებს მოთმინების ფიალა აევსოთ, მიმართეს პროტესტებს — ქერი აღარ მოაქვთ. „კავშირის" მენშევიკებმა დახავსებულ დაობებული აპარატი აამუშავეს, ყველგან იწვევენ მუშათა კრებებს და უმტკიცებენ თეთრს — შავათ და გაიძახიან: ქერი კარგია და მოსახდენიცაა, „მთელი მთიულეთი ქერით იკვებებაო". აქამდის საცერი არ ვარგოდა და პური იმიტომ იყო უვარგისი. ეხლა საცერიც ვიშოვეთ და ქერის გამოცხობაც შევისწავლეთ. ვინც პროტესტს გაგვიცხადებს, პურს არ მიიღებს, მათ ჯამაგირი არ მოემატებათო. ასე უგალობენ ჩვენი მენშევიკები მშიერ მუშებს. მართლაც ძალიან დახელოვდენ ქერის გამოცხობაში მის ქიმიურ დამზადებაში და დიდი ნიჭიც გამოიჩინეს. ასე ზრუნავენ მენშევიკები მუშებისათვის იმ დროს, როდესაც სპეკულიანტები, პარაზიტები თეთრ პურს შეექცევიან და განცხრომის მორევში ცურავენ. ერთი მხრივ ისმის სიცილ კისკისი მეორე მხრივ კი ჩაგრულ მშიერ მუშათა, პროლეტართა კვნესა გოდება.

ყოფილი მუშა.

*) „ნეტარ ხსენებულ დროს" კი „მფარველობის სისტემას" სასტიკათ ებრძოდა ნოე ჟორდანია, ხოლო არ. ჯორჯაძე კი იცავდა.

# პარტიული ცხოვრება.

### ზემო-სურები (გურია).

აქ არსებობს კომუნისტური ორგანიზაცია, რომლის ლეგალური არსებობა მოსვენებას არ აძლევს ადგილობრივ მენშევიკებს, რომლებიც ცდილობენ როგორმე მის არსებობას ხელი შეუშალონ მაგრამ მიუხედავათ ამისა პარტია განაგრძობს ლეგალურ მუშაობას და რაზმავს პროლეტარიატის წითელ დროშის ქვეშ მუშათა კლასს.

ხალხში მენშევიკები ათასგვარ დემაგოგიას ავრცელებენ კომუნისტების შესახებ, მაგრამ მუშები მაინც ეწერებიან კომუნისტურ პარტიაში, რომ ხალხს ქონებოდა სწორი ინფორმაცია კომუნისტურ იდეაზე და მათ მიმდევარ კომუნისტებზე, ამისათვის ზემო-თავსურების კომუნისტურმა ორგანიზაციამ გამართა ორ აგვისტოს მოხსენება, რომელზედაც იყო მოწვეული მენშევიკებიც. მოხსენებას ხალხი ბლომათ დაესწრო. მომხსენებლათ გამოვიდა ა. ბ., რომელიც შეეხო „სოციალისტურ რევოლიუციას და პროლეტარიატის დიქტატურას", ახსნა აგრეთვე პროგრამის მუხლები და ხალხს მისცა სწორი წარმოდგენა, თუ ვინ არიან კომუნისტები, ნამდვილათ ის „კაცჭამიებია", კომუნისტებია როგორც ამას ეუბნებიან ხალხს მენშევიკები, თუ პარტიული ხალხი, რომელიც მიყვება სწორ მარქსისტულ გზას.

ბოლოს მომხსენებელს მისცენ შეკითხვები, რაზედაც შესაფერისი პასუხი მისცა. მომხსენებლის მოპასუხეთ გამოვიდა მენშევიკებიდან მირიან რამიშვილი. ყველას ასე ეგონა, რომ მირიანი შეეხებოდა საკითხს არსებითათ და საგანზე. ილაპარაკებდა, მაგრამ მირიანმა, მის ნაცვლათ რომ საკითხზე ელაპარაკნა, მოყვა რუსეთის და კომუნისტების ლანძღვა გინებას. მირიანის სიტყვაში უნდა აღინიშნოს ერთი რამ: ეს არის, მისი აშკარა აღიარება იმისი, რომ მენშევიკები მარქსისტულ მოძღვრებას უარყოფენ. სიტყვის დასაწყისში მირიანი იწყებს ასე: „მოქალაქენო, მარქსი იყო კომუნისტი. ჩვენ გვწამს მარქსისტული მოძღვრება, ვინაიდან ჩვენ მარქსისტები ვართ, მაგრამ ვინაიდან მარქსი კომუნისტი იყო, ჩვენც კომუნისტობას არ უარყოფთო"! ბრმაც კი ხედავს რომ მენშევიკები „კომუნისტებს არ უარყოფენ" კი არა და მათთვის აქვენ გამზადებული ბნელი ციხეები და იქ ალპობენ კომუნისტებს, თუმცა მირიანი თავის ნათქვამს სიტყვებს თითონვე აბათილებს. მირიანი სიტყვის დასასრულ აი როგორ მოუწოდებს ხალხს: „გისურვებთ ამხანაგებო, რომ თქვენში არ ქონებოდეს გასავალი კომუნისტურ მოძღვრებასო". აი ის სიტყვები, რომლითაც ის მოუწოდებდა ხალხს, რომ მათში არ ქონებოდა გასავალი მარქსისტულ მოძღვრებას, ვინაიდან მასაც უდავო საკითხათ მიაჩნია ის, რომ მარქსი კომუნისტი იყო. ვეკითხები მირიანს, რაზე დასჭირდა მას ის მოწოდება, რომ ჩვენ კომუნისტობას არ უარვყოფთო? არის თუ არა სისწორე ეს? თუ ეს კი სწორია, მაშ რისთვის იმყოფებიან ჩვენი ამხანაგები კომუნისტები ბნელ ციხესაკნებში გამომწყვდეული? მაგრამ ნათქვამია: „ტყუილის მთქმელს მოკლე ფეხები აქვსო", ასე მოუვიდა მირიანსაც. თუმცა მისი წინანდელი სიტყვა მანვე გააქარწყლა, მაგრამ ეს რომ ასე არ ყოფილიყო ის ვერ გაექცეოდა რეალურ ფაქტებს და ვერ უარყოფდა სინამდვილეს. სინამდვილეში კი ის არის, რომ მენშევიკები კომუნისტურ მოძღვრებას უარყოფენ, მათ მიმდევარ კომუნისტებს ციხეში ალპობენ.

სხვათა შორის მირიანი შეეხო ს. დ. პ. პროგრამის მუხლების განხორციელების განხილვას და აღნიშნა, რომ გაამეფენ სახელმწიფო ენა ყველა დაწესებულებებში. შეეხო აგრეთვე სწავლა განათლების გავრცელებას პროგრამის და მიხედვით და წაგვიკითხა ის მუხლი, სადაც სწავლა განათლებაზე სწერია და რომ მიაწია იმ ადგილზე სადაც სწერია: „საყოველთაო სავალდებულო სწავლა-განათლება სახელმწიფო ხარჯზე", ეს სიტყვები დაბლა წაიკითხა, რომ ხალხს არ გაეგონა, მაგრამ მოითხოვეს ხმა ძალლა წაეკითხა და შევეკითხეთ, არის თუ არა ესო, მან ურცხვათ გვიპასუხა ეს ასე არისო, თუმცა ყველა ხედავს, რომ უფასოთ სწავლა კი არა, თან და თან უმატებენ სწავლის ფულს და ის სიტყვები „ეს ასე არისო", დარჩა ხმათ მღაღადებლისა მირიანისა შინა. მირიანის შემდეგ უნდა ელაპარაკნა სხვა ოპონენტებსაც ან და უნდა ეპასუხნა მომხსენებელს, მაგრამ მენშევიკებმა ეს ასე არ ინებეს. მათ შეატყვეს, რომ ცუდათ იყო მათი საქმე, უნდა გამოაშკარავებულიყო მათი მატყუარობა ხალხში, გამოაძვრინეს წინადადება, რომ დაღალული ვართ და მასთან ღამდება და მეტის მოსმენა აღარ შეგვიძლიაო. მიატოვეს დარბაზი, მომხსენებლის პასუხიც არ მოუსმენიათ და გაიქცნენ. მათი მიზეზი დაღალული ვართო და ღამდებაო უსაფუძვლო იყო, ვინაიდან ხალხი მოხსენების გათავებამდის არ წასულა. მიზეზი ის იყო, რომ მათ მატყუარობას მათივე მოწინავეების ნაწერები ააშკარავებდა, ისინი შეუშინდენ მათ და მისთვის გაიქცენ.

აი ასეთ ინფორმაციებით კვებავენ მენშევიკებში ხალხს და ვნახოთ სანამდის ივლიან ამ გზით, მაგრამ ეს კია, რომ ხალხი მათ მატყუარობას ბევრს ხედავს და ადრე თუ გვიან დაუყენებს მოტყუილებაზე განკითხვის დღეს.

ვ ო ხუფხისპირელი.

— —

### პროტესტი.

ჩვენ, მელოურის (სამტრედია) იაჩეიკის, კომუნისტური პარტიის წევრები ჩვენს სასტიკ გულის წყრომას გამოვსთქვამთ სომხეთში დაშნაკელების მოქმედების გამო, რაც გამოიხატა სომხეთის მუშა-გლეხ კომუნისტების დახვრეტაში. სასტიკ პროტესტს უცხადებთ დაშნაკელების მთავრობას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დღეს დაჩაგრული და დამონებული სომხეთის მუშები და გლეხები აღზდგებიან, გაინთავისუფლებენ თავს დაშნაკელთა მონობისაგან და რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული გასწევენ სოციალიზმის ალთქმის ქვეყნისაკენ.

ზიზღი მტარვალ — დაშნაკელებს.

გაუმარჯოს სომხეთის მუშებს და გლეხებს!

მელოურის იაჩეიკა.

— —

ჩვენ, სამტრედიის რაიონის ხიბლის იაჩეიკა გამოვსთქვამთ ჩვენს გულის წყრომას სომხეთის დაშნაკელებთა წინააღმდეგ და სასტიკ პროტესტს უცხადებთ ჩვენი ამხანაგ კომუნისტების მხეცურათ დახოცვისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სომხეთის მუშები და გლეხები არ დაივიწყებენ დაშნაკელების მოქმედებას და შურს იძიებენ დაშნაკელთა წინააღმდეგ.

ამხ. დავალებით **იახ. ხულაძა.**

# მუშათა ცხოვრება.

### მუშათა კანტროლის გზით

ჭიათურის მუშათა კავშირების საბჭომ მოწოდებით მიმართა შავ-ქვაზე მომუშავე ყველა დარგის მუშებს და მოსამსახურეებს. მოწოდებაში აღნიშნულია ჭიათურის შავი ქვის მნიშვნელობა, ერთი — როგორც წყარო სამუშაოსი და მეორე, როგორც სახელმწიფოებრივი დიდი მნიშვნელოვანი მრეწველობის წყარო, რადგან რესპუბლიკის უმთავრეს სავალიუტო საქონელს საზღვარ-გარეთ მარგანეცი შეადგენს. მარგანეცის წარმოებას დაცემა მოელის, რადგან მრეწველები აყალბებენ მარგანეცს, მის მაგიერ საზღვარგარეთ მიწას ეზიდებიან, რაც ევროპის ბაზარზე ფასს დაუკარგავს. მოწოდებაში მოხსენებულია 1902—1903 და 1908—11 წლები, როდესაც ჭიათურის წარმოება შეჩერდა, დაიკეტა, რადგან საერთო კრიზისი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ბაზარი შავი ქვის მაგიერ შავი მიწით აამსესო — ნათქვამია მოწოდებაში. ამის გამო ჭიათურის მუშათა კავშირების საბჭოს გადაუწყვეტია კანტროლი გაუკეთოს იმას, თუ როგორი ღირსების მარგანეცი იგზავნება ევროპის ბაზარზე. ამ მიზნით საბჭოს კომისიაც აურჩევია, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს მარგანეცის ღირსებას. საბჭო მოუწოდებს მუშებს არ დატვირთონ ვაგონები იმ შავი ქვით, რომელიც დაწუნებული იქნება კომისიის მიერ.

ჭიათურის მრეწველობა ამიერ-კავკასიაში ბაქოს შემდეგ, მუშათა მოძრაობის ცენტრათ ითვლებოდა. ჭიათურა — ეს რევოლიუციის წყარო იყო, საიდანაც რევოლიუციონური ნაკადები ექსოვებოდა საქართველოს სხვა კუთხეებს. ჭიათურის მუშა — ეს საქართველოს მუშებისა და გლეხებისათვის მესსია იყო. ჭიათურა ეხლაც ისევ იღვიძებს, წელში სწორდება. მუშათა კონტროლის დაარსება წარმოების მხოლოდ ერთი მხრის, თუმცა მკრთალი, მაგრამ მაინც რევოლიუციონური შუქია, რომელიც შეიძლება რევოლიუციონურ ცეცხლის ალადაც გადიქცეს.

### სალამი «ახ. კომუნისტს».

კვირას, ათ ოქტომბერს, მოხთა ქ. სამტრედიაში ახალგაზდა მუშ. და გლეხთა კომ. ორგანიზაციის კრება. რამოდენიმე ორგანიზაციული კითხვების გარჩევის შემდეგ კრებამ ერთხმათ გამოსთქვა სურვილი შეძლების და გვარათ დაეხმაროს გაზ. „ახ. კომუნისტს". უსურვებს მას სრული მიზნის განხორციელებას. უსურვებთ გაზ. „ახ. კომუნისტს" და მის მესვეურთ მედგრათ დაიცონ თავისუფლების სიმბოლო — წითელი დროშა, რომელიც მათ დიდი ხანია უკავიათ ხელში, რომ ამით ნათლათ დაანახონ საქართველოს მუშებს და გლეხებს მათი მტერი და მოყვარე. ჩვენ ახალგ. მუშები და გლეხები ფიცს ვდებთ რომ თქვენთან ერთად ვიქნებით და ვივლით, ყოველივე გასაჭირს გმირულათ ავიტანთ. არ დაუშვებთ ძირს და არ უღალატებთ იმ წმინდა წითელ დროშას, რომელიც უკავია დღეს რუსეთის პროლეტარიატს.

ორგ. მონდ. გეხლი.

### ჩვენი ფოსტა

„თაგილონელს" — გამოგზავნეთ კორესპოდენციები ადგილობრივ ცხოვრებიდან. გაზეთი გამოგეგზავნებათ 1 ნოემბრიდან.

**სამტრედია.** ჰ. მართაშვილს — გამოგზავნეთ წერილები ადგილობრივ მუშათა ცხოვრებიდან.

**დრ. რედაქტორი: ა. ქურიძე.**

# განცხადებანი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 8—91.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91.
ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 135.
ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).
ბიურო ღიაა დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია.
ბიურო ღიაა დილის 10—1 ნახ. საათამდე და საღამოს 5—7 ნახ. საათ.

ს. კ. პ. თბილისის მეოთხე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია.
ბიურო ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.

სტამბა „ეკონომია" დიდი ჯანქის ქ. № 3.